№11 (7171)
15 სექტემბერი,
პარასკევი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენცია ხობში



„ქართული ოცნების“ კონფერენციაზე ხობის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე და ბიუროს წევრები აირჩიეს.

ხობის პარტიულ ორგანიზაციას ხობის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბუკია უხელმძღვანელებს.

ჩემთვის დიდი პატივი და იმავ-დროულად, პასუხისმგებლობაა „ქართული ოცნების“ ხობის ორ-განიზაციის თავმჯდომარედ არ-ჩევა.

მადლობას ვუხდი პარტიას და დელეგატებს გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის!

წარმატებას ვუსურვებ კონფე-რენციაზე არჩეულ ბიუროს წევ-რებს.

მჯერა, რომ ერთიანი ძალებით კიდევ უფრო მეტ გამარჯვებას მოვიპოვებთ ჩვენი მუნიციპალი-ტეტის საკეთილდღეოდ.

დავით ბუკია.

დღეს ახალი სასწავლო წელი იწყება
გილოცავთ!

ძვირფასო მოსწავ-ლეებო და მასწავ-ლებლებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გამორჩეულად მინდა მივულოცო ჩვენი მუნი-ციპალიტეტის პირველ-კლასელებს, მათ, ვის-თვისაც დღეს დაიწყო ცხოვრების ახალი, გა-მორჩეული და ყველაზე საინტერესო ეტაპი. მჯერა, რომ საკლასო ოთახებში მიღებული ცოდ-ნა, თქვენი და ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმა-ტებული მომავლის უმთავრესი საწინდარი გახდება.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას, განსაკუთ-რებული მადლიერებით ვულოცავ პედაგოგებს, სწორედ თქვენი დაუღალავი შრომის შედეგია თითოეული მოსწავლის წარმატება იმ რთულ გზაზე, რომელსაც ცოდნისა და განათლების მიღება ჰქვია.

მადლობას გიხდით, რომ ჩვეული ერთგულებით ემსახურებით ჩვენი ცხოვრების უმთავრეს საქმეს–მომავალი თაობების განათლებას.

ძვირფასო მოსწავლეებო, დარწმუნებული ვარ, რომ ღირსეულად გაუმკლავდებით ყველა გა-მოწვევას, თქვენი შრომითა და პოტენციალის სრულყოფილად რეალიზებით, არაერთხელ ასახელებთ თქვენს მუნიციპალიტეტს და მნიშ-ვნელოვან წვლილს შეიტანთ მისი აღმშენებლობის საქმეში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ გამარჯვებებით სავსე წელიწადს!

დავით ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

ძვირფასო მოს-წავლეებო, პედაგო-გებო, მშობლებო! დიდი პატივისცე-მით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, რომელიც დაკავში-რებული იქნება ახალ გამოწვე-ვებთან და მიღწე-ვებთან. გისურვებთ წარმატებებს და გამძლეობას ამ რთულ, მაგრამ საინტერესო შესაძლებლობების გზაზე.

მთავარია, გქონდეთ მიზანი, იბრძოდეთ და გჯეროდეთ, რომ ამ მიზანს აუცილებლად მი-აღწევთ. ცოდნა–საკუთარ მომავალში ჩა-დებული, საუკეთესო ინვესტიციაა, განათ-ლებული თაობა კი–ქვეყნის განვითარების მთა-ვარი სიმძლავრე და უკეთესი მომავლის მყარი საფუძველი. სწორედ ამიტომ, ფასდაუდებელია პედაგოგების საქმიანობა და უდიდესია თქვენი წვლილი წარმატებული ახალგაზრდების აღ-ზრდაში, ეროვნული ინტელექტის ჩამოყა-ლიბებაში ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ!

განსაკუთრებით მინდა მივულოცო პირველ-კლასელებს, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგა-მენ ცოდნის ზღაპრულ სამყაროში, დაე, წარ-მატებული და იღბლიანი იყოს მათი მოგზაუ-რობა ამ ჯადოსნურ საზღაპრეთში.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე ჩვენი ქვეყნის ღირსეულ და წარმატებულ მამულიშვილებად ჩამოყალიბების გზაზე!

ლევან ქავთარაძე,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გი-ლოცავთ ჩემო ძვირფასო ბავშვებო! გან-საკუთრებულად, გულთბილ მილოცვას ვუძღვნი 2023-2024 სასწავლო წლის პირ-ველკლასელებს, რამეთუ ისინი არიან ჩვე-ნი ქვეყნის ხვალინდელი დღე, ჩვენი იმე-დი, ჩვენი მომავალი... და თქვენ, ჩემო საყვარელო მოსწავლეებო, ჩემო უფროს-კლასელებო, თითოეულ თქვენგანს გი-სურვებთ ახალი ენერგიითა და შემარ-თებით სწავლის დაწყებას.

განათლების როლი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარების საქმეში, წიგნიერი თაობა უკეთესი მომავლის საწინდარია. იმედს გამოვთქვამ, რომ სკოლებში მიღებული ზოგადი განათლება ნა-ყოფიერი აღმოჩნდება ყველა თქვენგანისთვის და სწორედ თქვენ-გან აღიზრდება ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის გამოჩენი-ლი მამულიშვილები.

საფუძვლიანი განათლება ქვეყნის სიმტკიცისა და ერთიანობის წინაპირობაა, უმთავრესი პრიორიტეტი სახელმწიფოსთვის სწო-რედ განათლების სისტემის მხარდაჭერა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი სტანდარტის დამკვიდრებაა. ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, წლი-დან წლამდე სიახლეები ინერგება, როგორც სწავლის პროცესში, ასევე ინფრასტრუქტურული კუთხით. შედეგიც არ აყოვნებს, აღსანიშნავია ხობელი კურსდამთავრებულების წარმატებები ეროვ-ნულ გამოცდებზე, ყველა სკოლა ამაყობს თქვენით, ჩემო ძვირფა-სო კურსდამთავრებულებო!

უპირველესად, მადლობა ყველაფრისთვის ჩვენო პედაგოგებო! წლების განმავლობაში მოსწავლეების პიროვნებებად ჩამოყა-ლიბებაში, მათი სულიერი და ზნეობრივი სამყაროს შექმნაში დიდი წვლილი თქვენია...

პედაგოგთა მაღალი კვალიფიკაციით და ინტელექტუალური თაობებით მუდამ გამოირჩეოდა ხობი. ეს ტრადიცია გრძელ-დება...

დარწმუნებული ვარ სამომავლოდ კიდევ უფრო გავძლიერ-დებით, კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ და ერთმანე-თის წარმატებებით გავიხარებთ...

ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, გისურვებთ უკეთეს ხვალინდელ დღეს, მხნეობას, წარმატებებს, ბედნიერ და გამარჯვებით სავსე სასწავლო წელს.

ბეატრისა რუსია,
ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათ-ლებლო რესურსცენტრის უფროსი.

დაფასებული ღვაწლი

განათლების მიღება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია. სკოლაში სასწავლო პროცესის წარმართვა ნაყოფიერად და წარმატებულად ჩაითვლება მაშინ, როცა აღვზრდით ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მატარებელ პიროვნებებს, უზრუნველვყოფთ მათი გონებრივი, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარებას.

ჩვენი სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეებს შეუქმნას თბილი,

მყუდრო, მეგობრული, მხიარული გარემო, სადაც გამოცდილი, პროფესიონალი, სულგრძელი და მომთმენი პედაგოგები ყველაფერს აკეთებენ, იმისთვის, რომ ბავშვებმა ისწავლონ და ჰარმონიულად განვითარდნენ, დაიპყრონ პატარა მწვერვალები და წარმატებებით შთაგონებულებმა დიდ მწვერვალებს მიაღწიონ.

მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის კეთილგანწყობილი, საქმიანი, პოზიტიური ურთიერთდამოკიდ ებულება წარმატებული მომავალი თაობის აღზრდის საწინდარია. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები არ დაივიწყებენ სკოლაში გატარებულ უმშვენიერეს თორმეტ წელიწადს. მათ აქ აღმოაჩინეს საკუთარი თავი და პედაგოგების დახმარებით შეიმეცნეს სამყარო თავისი მრავალფეროვნებით, რისთვისაც მოუწიათ ბევრი სირთულის გადალახვა, თუმცა ეს ყველაფერი ისევ მათ აძლიერებდა და აკაჟებდა.

წელს, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმა შეძლეს ყველა საგნის კომპეტენცია წარმატებით დაედასტურებინათ ეროვნულ გამოცდებზე და საუკეთესო შედეგები დაედოთ.

სკოლას ჰყავს ერთი 100%-იანი, ორი-70%-იანი და ორი 50%-იანი გრანტის მფლობელი კურსდამთავრებული. სულ 29-დან სხვადასხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ჩაირიცხა 20 ახალგაზრდა, ესენი არიან:

ქეთევან ტურავა–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართალი–100% გრანტი.

სესილი ნარსია–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინა–70% გრანტი.

მარიამ ბუკია–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალი–70% გრანტი.

ბაკური ჯღარკავა–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-50% გრანტი.

გიორგი ბუკია–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა–50% გრანტი.

ნინო ჭითანავა–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპისმცოდნეობა.

ანი ბუკია–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმი.

ანი რუხაძე–ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი, სამართალი.

სოფო სერგია–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ანალისტიკა.

ანი ხარებავა–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორია.

ანა ქირია–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, არქიტექტურა.

ლიზი ბუკია–შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართალი.

ლუკა ლაგვილავა–შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართალი.

ქრისტინე ღვანია–შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ტურიზმი.

მონიკა ბუკია–შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ტურიზმი.

დავით ბუკია–საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები.

სალომე გოჩალეიშვილი–შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართალი.

ლუკა ნარსია–შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართალი.

დიანა შურღულაია–შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი, დაწყებითი განათლება საბაკალავრო- სამაგისტრო პროგრამა.

მირეი ბუკია–საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, მენეჯმენტი.

მინდა მივულოცო თითოეულ მათგანს ახალი ნაბიჯების წარმატებულად გადადგმა და ვუსურვო ცხოვრებაში ულევი სიხარული ახალ-ახალი პროექტების განხორციელებისა და განვითარების საკითხებში. მიღწეული შედეგებით გაეხარებინოთ მშობლიური სკოლა, მუნიციპალიტეტი და სრულიად საქართველო.

მადლობა მინდა გადავუხადო თითოეული კურსდამთავრებულის მშობელს თანადგომის, აქტიურობისა და ოპტიმიზმისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს პედაგოგიურ კოლექტივს. გამოცდილ, სულგრძელ, პროფესიონალ, ერთგულ და თავდადებულ ადამიანებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ ჩვენი მომავალი თაობების დაფრთიანებისთვის.

მინდა ხაზი გავუსვა ხობის ადგილობრივი თვითმმართველობის თანადგომასა და ღვაწლს ჩვენი ახალგაზრდების განვითარების საკითხებში, მათი დახმარებით ჩვენმა მოსწავლეებმა არაერთი საინტერესო პროექტები განახორციელეს ინტელექტუალური, სპორტული თუ სამოქალაქო ღირებულებების მიმართულებით.

ხელი შეგვიწყვეს სასწავლო პროცესების მოწესრიგებულ გარემოში ჩატარების საქმეში. ბევრი მოსწავლე ინდივიდუალურად თუ გუნდურად დაჯილდოვდა სპეციალური პრიზებითა და სამახსოვრო საჩუქრებით. სკოლის დამთავრების შემდეგ კი მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივითა და მხარდაჭერით მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყველა წარმატებული (მედალოსანი) მოსწავლე დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოებით, რაც დიდი სტიმულის და მოტივაციის ამმაღლებელია თითოეული ახალგაზრდისთვის.

მინდა მადლობა მოვახსენო ამ იდეის ორგანიზატორებს და ხორცშემსხმელებს. განათლების საკითხებში თქვენი თანადგომა შედეგს გამოიტანს და ვფიქრობ, რომ თქვენი საჩუქრები, უმაღლეს სასწავლებლებშიც ჩვენი ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებული წარმატებების მოტივატორი გახდება.

სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება, საზოგადოების მხარდაჭერა, ჩვენს კურსდამთავრებულებს უცილობელ მეგზურობას გაუწევს ცოდნის უსასრულო სამყაროში.

ჩემო საყვარელო კურსდამთავრებულებო! წარმატებულად გევლოთ თქვენს მიერ არჩეულ გზებზე!

სიყვარულით და პატივისცემით

მანანა ბაძაღუა,
ხეთის საჯარო სკოლის დირექტორი.

საბავშვო ბაღებში საღამოზრდელო-საგანმანათლებლო წელი იწყება

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საღამოზრდელო გაერთიანებაში“ შემავალი 25 სტრუქტურული ერთეული ახალი 2023-2024 საღამოზრდელო-საგანმანათლებლო წლის დასაწყებად ემზადება, რომელიც 18 სექტემბერს დაიწყება.

ჩარიცხულია 807 აღსაზრდელი, დაკომპლექტებულია 53 ასაკობრივი ჯგუფი. ყველა ბავშვი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია და აქვს შესაბამისი ასაკი, მიღებულია საბავშვო ბაღში.

წელს საბავშვო ბაღებში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით გათვალისწინებული რეაბილიტაციის პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში ხამისკურის, ნოჯიხევის №2 და საჯიჯაოს საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტირდება. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს და ეს იქნება ავტორიზაციის წარმატებით გავლის წინაპირობა.

პროექტ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელდება ახალი ხიბულის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, რისთვისაც 28 000 ლარი დაიხარჯება.

როგორც ყოველ წელს, წელსაც დაცული იქნება ბავშვებისთვის განკუთვნილი კვებითი რეგლამენტი, რომლის შესაბამისადაც, სეზონური მენიუს (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) ფარგლებში ბავშვებს შევთავაზებთ ოთხჯერად კვებას (საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი), რომელიც დაბალანსებული იქნება მრავალფეროვანი პროდუქტებით, კალორაჟის დაცვით. შემოდგომის მენიუს მიხედვით, ერთ ბავშვზე გათვლილმა კვების ღირებულებამ 5,07 ლარი შეადგინა.

საბავშვო ბაღებში ავტორიზაციის პროცესი დაწყებულია.

ავტორიზაციის პირველი ეტაპი, თვითშეფასების კითხვარების შევსება პირველ ჯგუფთან (16 საბავშვო ბაღი) წარმატებით დასრულდა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მეორე ჯგუფთან (9 საბავშვო ბაღი) მუშაობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის“ მიხედვით, სრულად გადამზადდა საბავშვო ბაღების აღმზრდელ-მასწავლებლები, ახალი სასწავლო წლისთვის ვგეგმავთ აღმზრდელის თანაშემწეების გადამზადებას, რომლებიც აღმზრდელ-მასწავლებლებს ცვლიან მათი არ ყოფნის შემთხვევაში.

დაგეგმილია გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების კვების ბლოკის თანამშრომლებისთვის ტრენინგი, რომელიც მათ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სერთიფიკატის ვადას განუახლებს.

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის, ბაღებისთვის შეძენილიქნა მუსიკალური ცენტრები, ჯამ-ჭურჭელი, სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი.

საბავშვო ბაღების გახსნამდე შპს „ჰიგია“ ყველა საბავშვო ბაღში სადეზინფექციო სამუშაოებს ჩაატარებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წელი მივულოცო თითოეულ აღსაზრდელს, მშობელს, საბავშვო ბაღის თანამშრომელს და ვუსურვო მშვიდი, ნაყოფიერი და წარმატებული წელი.

ეკა ხასია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

8 სექტემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დადგენილების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკ-

რებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 1550,0 ლარით და შეადგინა 23743,0 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტში 2023-2024 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით, მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად განხორციელდება გზების რეაბილიტაცია.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის, ბიის, ქვემო ქვალონის, ქარიატის, შუა ქვალონის, ნოჯიხევის, თორსა-დღვაბის და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დაუმისამართებელი სოფლების ქუჩების არაბული ციფრებით სახელდება ხორციელდება.

საკრებულოს სხდომაზე შემდეგ საკითხად განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 3456 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა გადაეცემა სახელმწიფოს, შემდგომში ამ ეტაპზე იქ მცხოვრები, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს მორიგი სხდომა, დახურულად გამოცხადდა.

პატივმიგების საღამო–ხობის ღირსეულ მკვიდრთა შეხვედრა

„ღმერთმა თქვენ სიკეთე მოგცეთ“–ასე დალოცეს საზოგადოება „ხობელის“ მიერ ორგანიზებულ ღვაწლმოსლთა პატივმიგების საღამოზე მოწვეულმა სტუმრებმა, ხობის ღირსეულ მკვიდრთა თაობამ კულტურის სახლის დიდ დარბაზში გამართულ საღამოზე უამრავი ხობელი და სხვა ქალაქიდან მოწვეული სტუმრები. ამ დღემ კიდევ ერთხელ განამტკიცა აზრი, რომ საზოგადოება „ხობელი“ თავისი გამორჩეული ხელწერით მომავალშიც აუცილებლად იქნება ხობის საზოგადოების განუყოფელი ღირსეული ნაწილი.

ლამაზი საღამო, რომლის მთავარი გმირები ყველაზე დამსახურებული, სათუთი წლების სიმძიმით გაუტეხელი მეცხოვნეები იყვნენ, რომელთა ღვაწლის, დათესილი სიკეთისა და გაცემული სიყვარულის მარცვლებად აკინძვა მოხერხდა. ეს მართლაც საშური საქმეა, საქმე, რომელიც ერთმანეთის პატივისცემას, თანადგომას, სიბერის ღმერთის საჩუქრად და ჯილდოდ მიღებას გვასწავლის

გვიყვარდეს ხობი, პატივი მივაგოთ ამ საყვარელ ადგილს, ვიცოდეთ, რომ წარსულში

ხობმა ჩვენს სამშობლოს მრავალი სწავლული, სახელმოხვეჭილი ადამიანი მისცა. ამ პატარა კოპწია რაიონში აღიზარდნენ დიდი მამულიშვილები,–მეცნიერები, მწერლები, პოეტები, პროფესორები, აკადემიკოსები- მშრომელი ადამიანები. რომლის სახელისა და გვარის დასახელება შორს წაგვიყვანს. ამ ადამიანებმა არამარტო ასახელეს ჩვენი მუნიციალიტეტი, არამედ მთელ საქართველოს გაუთქვეს სახელი.

გაივლის დრო და ჩვენი მომავალი თაობები კვლავაც დიდი სიყვარულით და მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ მათ სახელებს,

შეკრებილებს სიტყვით მიმართა საზოგადოება „ხობელის“ თავმჯდომარემ ბეჟან ნადარაიამ და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიისას დაღუპულებს, საზოგადოება „ხობელის“ წევრებს მანანა თათარიშვილის და სოსო ჭანტურიას ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა შვილიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. აღნიშნა, რომ აქ მობრძანებული სტუმრები ნამდვილად იმსახურებენ განსაკუთრებულ სითბოს, თანადგომას და დაფასებას.

ჩვეული სიდარბაისლით დიდი მადლიერება გამოხატა ღვაწლმოსილმა მუშაკმა ბატონმა ლაჟვარდ ბუკიამ იმ ადამიანების წინაშე, ვისთანაც ერთად უმოღვაწია და მოკლედ მიმოიხილა განვლილი წლები.

გამომსვლელებს შორის ბრძანდებოდნენ ხობის მუნიციალიტეტის ყოფილი ხელმძღვანელები–ბატონები ანგულ მიქავა და გოგი ქაჯაია, რომლებსაც არა ნაკლები წვლილი მიუძღვით ხობის აღმშენებლობაში.

მათ გაიხსენეს თავიანთი ხელმძღვანელობის დროს გაკეთებული საქმეები. მშრომელი ადამიანების ღვაწლი და მათ დიდი ხნის სიცოცხლე უსურვეს.

ასევე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხობის კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრის მუზეუმების მენეჯერმა და საზოგადოება „ხობელის“ წევრმა ლევან ხოფერიამ.

„მე რამდენიმე წელია, რაც თბილისიდან ხობში გადმოვედი საცხოვრებლად, მაგრამ ბავშვობიდან მსმენია დამსახურებული და ღირსეული ხობელების შესახებ ბედნიერი ვარ მომეცა შესაძლებლობა ახლოს გაგცნობოდით და მესურვებინა დიდხანს სიცოცხლე.

მოკრძალებული სიტყვა წარმოთქვა საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, მესამე კურსის სტუ-

დენტმა, ხობის კულტურის ცენტრის მოცეკვავემ, თბილისის სუხიშვილების ანსამბლის ქორეოგრაფიული სკოლის მოსწავლე ანა გოგუამ.

„ბედნიერი ვარ, და ამაყი, რომ ვიმყოფები ისეთი ადამიანების გვერდით, როგორებიც თქვენ ბრძანდებით. ჩვენ ხობელ ახალგაზრდებს თქვენი ქვეყნის ერთგულების, თავდადების დიდი პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითები გვიკვალავენ გზას. გჯეროდეთ, ჩვენ თქვენს გზას გავაგრძელებთ...“

დიახ, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ იმ ეპოქაში არსებობდნენ ადამიანები, გულანთებული პატრიოტები, რომლებიც ქმნიდნენ საერთო სახალხო დოვლათს და ასე განამტკიცებდნენ სახელმწიფის ძლიერებას. მათი დავიწყება მიუტევებელი დანაშაულია, ისტორია ნამდვილად არ გვაპატიებს.

ხობი ყოველთვის გამოირჩეოდა პროფესიონალი, განათლებული და შრომისმოყვარე ადამიანებით.

და ბოლოს საღამოს თავისებური ხიბლი შემატა კოლორიტმა ქალბატონმა, საზოგადოება „ხობელის“ უხეცესმა წევრმა, დამსახურებულმა ექთანმა ეთერი დარჯანიამ.

იყო ტაში და ოვაციები....

უცებ გამახსენდა ცნობილი პოეტის შოთა ნიშნიანიძის სტრიქონები. „როცა ჩაცხრება შენში ვნებები და დაგერქმევა ერთ დროს ბებერი, სიბერეს შენსას არ შეუშინდე, ციხე იყავი აუღებელი“. მან კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ სიბერეს სხვა უფრო საპატიო ძნელადსატარებელი ტვირთი და დანიშნულება აქვს.

ღვაწლმოსილთა საღამოს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დიდი მადლობა მათ მხარდაჭერისთვის, მადლობა კულტურულ-საგანმანათებლო ცენტრის თითოეულ თანამშრომელს თანადგომისთვის, მადლობა მოწვეულ სტუმრებს სხვადასხვა მუნიცუალიტეტებიდან მობრძანებისთვის. მადლობა ბატონ ირაკლი შონიას–ხობის მემატიანეს ამ ღონისძიების გალამაზებისთვის...

ბოლოთქმა.

ჩვენო ლამაზო ფესვებო, მადლობა თქვენ გამძლეობისთვის, არსებობისთვის, იმისთვის რომ ასე ლამაზად ათვალეთ წლები–„წლები ჩვენი სიმდიდრე“. გისურვებთ ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც უზრუნველად გაატარებთ თქვენს სიბერეს, ამას თქვენ ნამდვილად იმსახურებთ.

ნაირა ბერაია

ინტერვიუ

მათ საუკეთესო შედეგები დადეს!

ოქროსმედალოსნებო და 100 პროცენტიანი გრანტის მფლობელებო, ამჯერად მინდა გახდეთ ჩემი რესპოდენტები და კითხვებს თქვენეულად უპასუხოთ:

უჩვეულო გამოდგა 2022-23 სასწავლო წელი ხობელ კურსდამთავრებულთათვის. უჩვეულო იმდენად, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მედალოსანთა ბუმია. 69 მოსწავლე ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი გახდა. 313 მოსწავლიდან უმაღლეს სასწავლებლებში 171 ჩაირიცხა სასურველ უნივერსიტეტებში. მათ შორის გამორჩეული გახდა ეს სასწავლო წელი იმ 4 ხობელი ოქროსმედალოსანი აბიტურიენტისთვის, რომლებიც ეროვნული გამოცდების შედეგებით 100% გრანტით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ესენი არიან:

ქეთევან ტურავა–ხეთის საჯარო სკოლა;

ქეთევან ხასია–ქ. ხობის №2 საჯარო სკოლა;

ნოდარ კარტოზია–ხობის №2 საჯარო სკოლა;

ლუკა ნარსია (რომელიც გარკვეული წლები ხობის №2 საჯარო სკოლაში სწავლობდა) დაამთავრა თბილისის ვლადიმერ კომაროვის სახელობის სკოლა.

ნათელი მომავალი, უღრუბლო ზეცა, ახალ-ახალი გამარჯვებები, საუკეთესო სურვილების ახდენა მინდა გისურვოთ წარმატებულო ახალგაზრდებო.

პირველი წარმატებული და გამარჯვებული ნაბიჯები თქვენ ოჯახებიდან და სკოლებიდან მიიღეთ, შეიმეცნეთ. ახალ ეტაპს–სტუდენტობას კი ცოდნის უკეთ დაუფლების, წიგნიერების, ახალი მიზნებისკენ სწრაფვის, მომავლის ადამიანებად ყოფნის, სხვადასხვა კონკურსებსა თუ პროექტებში ჩართვითა და ცოდნის ამაღლების სურვილით შეძლებთ.

ეს წარმატებისა და გამარჯვების საწყისია, დიდი მოტივაციაა სიახლეთა დანერგვისთვის.

წინ კი თქვენი იმედიანი მომავალია...

ნოდარ კარტოზია

ქეთევან ტურავა

გვიამბეთ თქვენზე...

გახლავართ **ნოდარ კარტოზია**, 18 წლის. პირველი კლასიდან ვსწავლობდი ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლაში. ერთი წელი ასევე გავატარე შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონის შტატის პატარა ქალაქის სკოლაში. მყავს უმცროსი ძმა.

–მოგესალმებით, მე ვარ **ქეთევან ტურავა,** 18 წლის, ხეთის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული. პატარა ასაკიდანვე მიყვარდა კლასგარეშე წიგნების კითხვა და მუდმივად ახალი ინფორმაციის მოძიება, რაც ბებიაჩემის დამსახურებაა, რადგან წიგნისადმი სიყვარული სწორედ მან ჩამინერგა. ასევე გატაცებული ვარ ფოტოგრაფიითა და ლამაზი კადრების დაფიქსირებით.

სკოლაში ჩემი საყვარელი საგანი ქართული და უცხო ენა (ინგლისური) იყო. ასევე ბავშვობიდან აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობასა და პროექტში, რამაც გავლენა მოახდინა ჩემს განვითარებაზე.

მიყვარს სიახლეების ძიება და სირთულეები, რადგან ეს ბრძოლისთვის მეტ მოტივაციასა და სტიმულს მაძლევს.

მე ვარ **ქეთევან ხასია**, დავამთავრე ქ. ხობის 2 საჯარო სკოლა, ახლა კი სწავლას განვაგრძობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მე ვარ **ლუკა ნარსია**. დავიბადე ქალაქ ხობში. მეექვსე კლასამდე ვსწავლობდი ხობის მე-2 საჯარო სკოლაში. მე-7 კლასში კი ჩავირიცხე კომაროვის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში და დავამთავრე ოქროს მედალზე. წელს ჩავაბარე ეროვნული გამოცდები წარმატებით და სწავლას ვაგრძელებ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში კომპიუტერულ მეცნიერებაზე (ინგლისურენოვანი).

გილოცავთ ყველაზე ლამაზ წლებს–„ოქროს“ მედლის კავალერობას და მომავალ გზას ცხოვრებაში–სტუდენტობას.

ნ.კ. დიდი მადლობა. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს მედალს ვერსად ვიყენებ, კარგია, როცა შრომა გიფასდება.

ქ.ტ. მადლობა კეთილი სურვილებისთვის.

ქ. ხ. დიდი მადლობა.

ლ.ნ. მადლობა.

ვინ უნდა გახდეთ? ჩაირიცხეთ იმ ფაკულტეტებზე, რომელიც ძალიან გინდოდათ?

–**ნ.კ.** მეშვიდე კლასიდან, ანუ მას შემდეგ, რაც სკოლაში გეოგრაფიის სწავლა დავიწყე, მივხვდი, რომ მომავალში ისეთი რამ უნდა მეკეთებინა, რაც ამ საგანს უკავშირდებოდა.

გამიმართლა, განსაკუთრებული მასწავლებელი, მანანა წულეისკირი შემხვდა, რომელმაც ეს საგანი შემაყვარა. მაინტერესებს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები და კარგა ხანია, მინდა, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე წარმოვადგენდე.

დიდი ალბათობით, ვიმუშავებ გარემოს დაცვის კუთხით სხვადასხვა ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმებაზე, რადგან ეკოლოგიის საკითხი ძალიან აქტუალურია და ძალიან მიზიდავს. მე-11 კლასში, ფლექს პროგრამამ საშუალება მომცა ვყოფილიყავი საქართველოს „ელჩი“ შეერთებულ შტატებში, სადაც ყველანირად ვცადე, გამეზიარებინა ჩემი ქვეყნის შესახებ–სწორედ ამას ვაპირებ მომავალშიც.

ქ.ტ. საერთაშორისო სამართალი ფართო სპექტრია და შესაბამისად, დასაქმების არეალიც ფართოა, მაგრამ ჩემს თავს ძირითადად საგარეო ურთიერთობებში განვიხილავ. სწავლის პროცესში შესაძლოა სხვა მხრივაც დავფიქრდე, ამიტომაც დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. დიახ, ეს ფაკულტეტი ძალიან მინდოდა და კონკურენციაც საკმაოდ მაღალი იყო, შესაბამისად ამ ფაკულტეტზე მოხვედრის სირთულესაც ვიაზრებდი, მაგრამ ჩავირიცხე და ძალიან მიხარია.

ქ.ხ. ჩავირიცხე იურიდიულ ფაკულტეტზე, რაც დიდი ხანია ჩემი ოცნება იყო, თუმცა არ მაქვს გადაწყვეტილი კონკრეტულად რომელ დარგში მსურს პროფესიის აწყობა.

ლ.ნ. დიახ, ჩავირიცხე კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტზე, რომელიც დღევანდელობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. ახლო მომავალში ვაპირებ ჩემი წვლილი შევიტანო ამ სფეროს განვითარებაში.

რას გვეტყვით თქვენს თაობაზე. რის დაბრუნებას ან შეცვლას მოითხოვთ და როგორ გგონიათ, შეძლებთ?

ნ.კ. ვფიქრობ, ძალიან იღბლიანი ადამიანი ვარ. საუკეთესო მშობლებთან, ახლობლებთან ერთად, საუკეთესო ადამიანები–ჩემი მეგობრები მყავს გვერდში. ვერ გეტყვით, რომ რამის შეცვლაზე ვოცნებობ, ვერც იმას მოგატყუებთ, რომ უფროსების მონაყოლ ისტორიებზე ვფიქრობ, ნეტა ჩვენც ასე ვყოფილიყავით-მეთქი. მჯერა, რომ რაღაცეები არ იცვლება.

5

ინტერვიუ

მათ საუკეთესო შედეგები დადეს!

4

ადამიანებს შორის ურთიერთობა თავად ადამიანებზეა დამოკიდებული და მე ამ მხრივ არანაირი დანაკლისი არ მიგრძვნია.

ქ.ტ. მგონია, რომ ჩვენი თაობა ამ შემართებითა და განვითარების დონით, რაღაც განსაკუთრებული სიახლის საწყისი იქნება ახალი ღირებულებებითა და მიზნებით.

ქ. ხ. ვფიქრობ, რომ ჩემი თაობა გამოირჩევა განსაკუთრებული მიზანდასახულობითა და შრომისმოყვარეობით, სწორედ ამიტომ არ შევცვლიდი არაფერს.

ლ.ნ. ჩემი აზრით, დღევანდელ თაობას აქვს ყველანაირი შესაძლებლობა თავიანთი ნიჭი და პოტენციალი განავითარონ სხვადასხვა მიმართულებით. მთავარია, დაისახონ მიზანი, იშრომონ, არ შეუშინდნენ დაბრკოლებებს და გააგრძელონ განვითარება.

ქეთევან ხასია

ქ.ხ. ჩემთვის მეგობარია ის ადამიანი, რომელსაც მუდამ გვერდში დავუდგები, გავუზიარებ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ჩემს ცხოვრებაში.

„მეგობრობა გზად და ხიდად“ რას ნიშნავს თქვენთვის? რითი აფასებთ ადამიანს, თქვენს თანატოლებს?

–ნ.კ როგორც უკვე ვახსენე, ყველაზე მეტად ჩემი მეგობრებით ვამაყობ. თითოეულ მათგანს ვენდობი და ვგრძნობ, რომ ისინიც მენდობიან. რა თქმა უნდა, როგორც ყველა ადამიანისთვის, ასევე ჩემთვისაც, მთავარი ღირებულება სანდოობა და გულწრფელობაა.

ქ.ტ. მეგობრობა ისეთი ცნებაა, რომელსაც ზუსტ განმარტებას ვერ მოვუძებნით, რადგან ყველა სხვადასხვა კრიტერიუმით განსაზღვრავს ამ სიტყვის არსს.

ჩემთვის „მეგობრობა გზად და ხიდად“ ნიშნავს ჭირსა თუ ლხინში ერთგულ თანადგომასა და მხარდაჭერას, რაც ცხოვრებაში ახალი გზებისა და მიზნების ძიებაში გვეხმარება. კონკრეტული შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა არ მიმაჩნია სწორად, მაგრამ ჩემთვის ერთგულება და ნდობა მეგობრობის მყარი საფუძველია.

ადამიანს ყველაზე მეტად ვაფასებ გულწრფელობითა და სანდოობით, რადგან სწორედ ეს თვისებები განაპირობებს მომავალში ნამდვილ მეგობრობას.

ლ.ნ.–მეგობრობა ჩემთვის არის საერთო ინტერესებითა და მისწრაფებებით აღმოცენებული ურთიერთობა. სწორედ ეს და რამდენიმე დადებითი თვისება ბადებს ჯანსაღ კავშირებს.

რა არის თქვენთვის ახლის ძიების გზა, კომფორტის ზონა?

–ნ.კ. სწორედ კომფორტის ზონიდან გასვლაა ჩემთვის ახლის ძიების გზა. ხშირად ვცდილობ, კომფორტის ზონიდან გავიდე, რათა მეტი გამოცდილება შევიძინო სხვადასხვა კუთხით.

ქ.ტ. ჩემი კომფორტის ზონა სიახლეების ძიების დროს არის კომფორტული გარემო და ხალხი ჩემს გარშემო, მაგრამ ეს გზა მუდმივად ბევრ სირთულესთან ასოცირდება და ბევრ შემთხვევაში კომფორტის ზონიდან გამოსვლასაც ითხოვს. მთავარია, ამ სირთულეებს არ შევუშინდეთ, როგორც შოთამ თქვა „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“.

ქ.ხ. პირიქით, ჩემთვის ახლის ძიების გზა კომფორტის ზონიდან გამოსვლაა, რადგან ის მოიცავს დიდ ძალისხმევასა და შრომას, მაგრამ, როდესაც ეს შრომა გიფასდება და იღებ დადებით შედეგს, ორმაგად უფრო სასიამოვნოა.

ლ.ნ. ჩემთვის ყოველდღიურობა არის ახლის ძიების გზა.

როდის ხართ ყველაზე ბედნიერი?

ნ.კ ყველაზე ბედნიერი ვარ მაშინ, როცა უახლოესი ადამიანები ჩემით ამაყობენ.

ქ.ტ. ყველაზე ბედნიერი ვარ როცა ვხედავ, რომ ჩემმა შრომამ შედეგი გამოიღო და ამ შედეგის მიღწევის გზებს სხვებსაც ვუზიარებ, რადგან თანატოლ-განმანათლებლობა და ინფორმაციის მუდმივი გაცვლა, ჯანსაღი ურთიერთობებისა და ბევრი წარმატების წინაპირობაა. ასევე უბედნიერესი ვარ, როცა ვხედავ, რომ ჩემი მშობლების, მასწავლებლებისა და რეპეტიტორების იმედებს ვამართლებ, რადგან მათ დიდი წვლილი მიუძღვით ამ წარმატებაში და არიან ჩემი მუდმივი გულშემატკივრები.

ქ.ხ. ყველაზე ბედნიერი ვიყავი მაშინ, როდესაც ჩავირიცხე სასურველ უნივერსიტეტში, რადგან ეს იყო ჩემი დამოუკიდებლად მიღწეული ერთ-ერთი პირველი წარმატება.

ლ.ნ. თავს ბედნიერად ვგრძნობ მაშინ, როდესაც ჩემთვის ძვირფასი ადამიანები აფასებენ ჩემს მიღწევებსა და წარმატებებს.

სწავლის პროცესი ხანგრძლივი და შრომატევადია, თუმცა, იქნებ გეგმავთ რაიმე ალტერნატიულ საქმიანობასაც?

ნ.კ ძირითადად სპეციალობასთან ერთად, აუცილებლად ვაპირებ, დამატებით სპეციალობად შევისწავლო გეოგრაფია, ან გეოლოგია და ამ გზითაც გავაგრძელო მუშაობა.

ქ.ტ. რადგან ეს პროფესია ავირჩიე, ასე თუ ისე, გავიაზრე, რომ ამით ჩემს მომავალ ცხოვრებას განვსაზღვრავდი, მაგრამ მიყვარს მრავალფეროვნება, ამიტომაც დაინტერესების შემთხვევაში არ გამოვრიცხავ პარალელურად სხვა საქმიანობასაც.

ლუკა ნარსია

ქ. ხ. ამ ეტაპზე ვგეგმავ მხოლოდ ჩემი არჩეული პროფესიის შესწავლას და მასზე კონცენტრირებას.

ლ.ნ. რამდენიმე წელიწადი ვაპირებ კომპიუტერული მეცნიერების განხრით განვითარებას. თუმცა, ცხადია, ცხოვრების მანძილზე ბევრი სხვა ინტერესი და გამოწვევა გამოჩნდება.

წიგნი თუ კომპიუტერი?

ნ.კ ვერ მოგატყუებთ, რა თქმა უნდა კომპიუტერი. თანამედროვე ეპოქაში კომპიუტერი ის აუცილებელი ნივთია, რომელიც თითქმის ყველაფრის საშუალებას გვაძლევს–სწორედ კომპიუტერში იწერება და მზადდება დასაბეჭდად წიგნები.

ქ.ტ. თანამედროვე სამყაროში წიგნისა და კომპიუტერის შედარება აქტუალურია, რადგან ორივეს აქვს თავისი დადებითი მხარე. კომპიუტერი უსაზღვრო შესაძლებლობებს გვაძლევს, მათ შორის, წიგნის ონლაინ კითხვის შესაძლებლობასაც, მაგრამ ჩემთვის წიგნი უპირობო და შეუცვლელია, რომელსაც თუ კარგად გამოიყენებ, აუცილებლად შენი წარმატების მიზეზად აქცევ.

ქ.ხ. ორივე თანაბრად, რადგან კომპიუტერი, ითავსებს თითქმის ყველა იმ თვისებას, რასაც წიგნი, და ბევრად უფრო მოსახერხებელია, თუმცა წიგნსაც თავისი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, რადგან მისი კითხვით მიღებული სიამოვნება განსხვავებულია.

ლ.ნ. ორივე საჭიროა ადამიანის განვითარებისთვის, მაგრამ დღევანდელობაში ტექნოლოგიური განვითარების სისწრაფესა და პოტენციალს თუ გავითვალისწინებთ, კომპიუტერის საშუალებით შეგვიძლია უსაზღვრო ინფორმაცია მივიღოთ და ამით დროში მოვიგოთ.

სამომავლოდ რის შეცვლას ინატრებდით და რის ახდენას მოისურვებდით?

ნ.კ მინდა, ისეთ საქართველოში ვიცხოვრო, სადაც ყველა პროფესია დაფასებული იქნება და პურს მეპურე დააცხობს. ამას თუ მივაღწევთ, წარმატება გარდაუვალი იქნება.

ქ.ტ. ზოგადად, რეალისტი ადამიანი ვარ და იმედგაცრუებას მირჩევნია, მოლოდინებს გადავაჭარბო, შესაბამისად წინასწარ არაფრის თქმა არ მიყვარს, ამიტომაც ამას დრო გვიჩვენებს, მთავარია, ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე.

ქ.ხ. სამომავლოდ ვინატრებდი უცხოეთში გამგზავრებას განათლების მიღების მიზნით და ჩემს სფეროში წარმატებულ მომავალს.

ლ.ნ. დროთა განმავლობაში ადამიანის პიროვნული მახასიათებლები, უნარები იცვლება. პირადად მე, ძალიან შორს არ ვფიქრობ, მირჩევნია ცხოვრების ყველა ეტაპზე შესაბამისად განვვითარდე და მომავალი ცვლილებებიც გარდაუვალი იქნება.

P.S. დაგემშვიდობებით, მადლობა საუკეთესო პასუხებისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველაზე ლამაზ წლებს „ოქროს“ მედლის კავალერობას და 100% გრანტის მოპოვებას. მომავალ გზას–სტუდენტობას.

წარმატებული ყოფილიყოს ყოველი ახალი დღე თქვენს ცხოვრებაში!

ნანი კილასონია.

დადგა სექტემბერი, სასკოლო ცხოვრების „ციმცხელების“ დრო. ალმათ, იშვიათია ოჯახი, სადაც სამზადისი არ იყოს.

მიუხედავად ასაკისა, ახალი სასწავლო წლის დადგომა მეც ძალიან მახარებს, მოსწავლე ახალგაზრდობის ჟრიამული სიცოცხლეს მიხალისებს და მიხანგრძლივებს...

წლევანდელი წელი ჩემთვის სასიამოვნოდ თენდება, რადგან საუკეთესო პედაგოგის ბიბლიაში გავიცანი ყოფილი „არიელი“, ამჟამად ხობის №2 და პირველი მაისის ესტატე შუშანიას სახელობის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი თეა ტყებუჩავა (მადლობა განათლების რესურს ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ მეატრისა რუსიას და ხობის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლის პედაგოგს ქალბატონ ლალი ჯიტიას) ამ დიდი სიამოვნებისთვის, რაც მისი გაცნობით მივიღე.

დღეს ქალბატონი თეა ტყებუჩავა ჩვენი გაზეთის სტუმარია, ახალგაზრდა პედაგოგი გვიყვება მშობლიური აფხაზეთის მონატრებაზე, გავლილ გზასა და მომავალზე.

„სასკოლო ცხოვრება ჩემი განუყოფელი ნაწილია“

ქალბატონო თეა, გთხოვთ გაეცნოთ გაზეთის მკითხველს, ვინ არის თეა ტყებუჩავა?

–დავიბადე ხიდსიქითა საქართველოში–ოჩამჩირის რაიონ სოფ. ბედიაში, (ჩემი სახლი იდგა ზუსტად ისტორიული ბედიის მონასტრის წინ, სადაც დაკრძალულია ბაგრატ III). იქ გავატარე ბავშვობის მხოლოდ შვიდი წელი. მშობლები, ისევე როგორც უმრავლესობას მიაჩნია, ვფიქრობ, საუკეთესოები მყავდა (მამა მესამე წელია გარდამეცვალა).

მამა-ნური ტყებუჩავა, რაიონის მთავარი აგრონომი იყო, ასევე ქართული სკოლის დამაარსებელი აფხაზურ სოფელში, ვაჟკაცი, პურმარილით ქებული...

დედა–ნაზი გაბელია, ამჟამად დიასახლისი, თავის დროზე კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, კლუბის გამგე, ორგანიზატორი და ძალიან აქტიური, გალის რაიონში დაფასებული პიროვნება.

მყავს და თეონა ტყებუჩავა და მყავდა უფროსი ძმა, რომელიც ტრაგიკულად გარდამეცვალა (ამაზე ცოტა მოგვიანებით).

ჩემი მეორე „სამშობლო“ ქუთაისია. ვსწავლობდი ქუთაისის №24 საჯარო სკოლაში, წარჩინებით, ოქროს მედალზე, გრიგოლ ხანძთელის ხელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტი–„კოლხა“ კი წითელ დიპლომზე დავამთავრე. ვსწავლობდი დიზაინის ფაკულტეტზე. სასიამოვნოდ მახსენდება სტუდენტობის წლები, ძალიან აქტიური სტუდენტი ვიყავი: სტუდკავშირის ხელმძღანელი, ახალგაზრდული დეპარტამენტის წევრი, კონფერენციების თავმჯდომარე, სამუსიკო გუნდის წევრი და ა.შ მოკლედ ქალაქის მაჯისცემას აყოლილი...

საბოლოოდ ჩემი ცხოვრების ბედი ხობს დაუკავშირდა (სადაც დასასვენებლად ჩამოვდიოდი ხოლმე). მეუღლე–ალექსანდრე გვასალიაა. ჩვენი ურთიერთობა ურთიერთპატივისცემით და სიყვარულით გამოირჩევა, გვყავს პატარა, ხუთი წლის ელისაბედი. 16 წელია უკვე ხობში ვცხოვრობ. იდეებით დახუნძლულს უამრავი გეგმა მქონდა, თუმცა დავინტერესდი და შევესისლხორცე სკოლის ცხოვრებას.

ქალბატონ ბეატრის რუსიას კერძო სკოლა–„არეაში“ დაიწყო ჩემი პირველი ნაბიჯები, სადაც ავიმაღლე სტატუსიც და ალღო ავუღე სკოლის საინტერესო ცხოვრებას. რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს სასკოლო ცხოვრება, იგი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. საინტერესოა ბავშვებთან ურთიერთობა, მეც მათთან ერთად ვიზრდები და დღითიდღე სიახლეებით ვსწავლობ.

კოლეგებთან ურთიერთობა ერთობ სასიამოვნოა, საზოგადოებასთან კომუნიკაციის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია...

ხელოვნების მიმართ განსაკუთრებული მიდგომა და დამოკიდებულება პირადი გადაწყვეტილება იყო თუ...

–ჩემს ოჯახში (წინაპრებშიც) იგრძნობოდა განსაკუთრებული ნიჭი ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მიმართ.

–ბიძაჩემი, მამის ძმა ხეზე თლიდა, მამიდა მღერის, მამა ხატავდა და ლექსებს წერდა. დედა მღერის და ხატავს, თუმცა ამ ყველაფერმა გაორმაგებულად ჩემსა და ჩემს ძმასთან მოიყარა თავი.

ბავშვობიდან ვხატავდი, თუმცა ამ სფეროში ჩემი ყოფნა, ჩემი ძმის სახელს უკავშირდება. სამი დედმამიშვილიდან თენგო განსაკუთრებული იყო. ლამაზი და ნიჭიერი, თითქმის შემდგარი ხელოვანი მივიდა უმაღლეს სასწავლებელში, ლექტორების საუკეთესო სტუდენტი გახდა. ომს გადავურჩით და ცვარმა დაგვახრჩო, ტრაგიკულად დაიღუპა.

ქუთაისში რიონის ტელევიზია მაშინ აქტუალური იყო, ინტერვიუ ჰქონდათ მზად, როგორც ნიჭიერ ხელოვანთან, თუმცა გამოსათხოვარიც შთამბეჭდავი იყო, აღნიშნავდნენ დიდ დანაკლისად ქართულ ხელოვნებაში. სწორედ მას სურდა, რომ მე ხელოვანი გამხდარვიყავი, მარწმუნებდა, რომ ეს ღვთისგან ბოძებული განსაკუთრებული ნიჭი იყო, რომელსაც განვრცობა და გაღრმავება სჭირდებოდა. ასეც მოხდა, მე მის ინსტიტუტში ჩავაბარე...

ჩემი სკოლაში სწავლის პერიოდში, გვყავდა ხატვის მასწავლებელი. ამჟამად როგორაა შეცვლილი ამ საგნის სწავლებისადმი მიდგომა, რა ინოვაციებია, რას ითვალისწინებს სასწავლო პროგრამა?

–სკოლის ცხოვრება საინტერესოა და საპასუხისმგებლოც. საგნის სწავლების გარდა, ყველანაირი მოსწავლის სულში

გიწევს მეტნაკლებად წვდომა, ეს არ არის მარტივი და არ ვიტყვი, რომ ყველაფერი იდეალურად გამომდის, თუმცა მიყვარს ჩემი სფერო და ვცდილობ პირნათლად მივიტანო მოსწავლემდე სათქმელი. მართალია, უამრავ წინააღმდეგობებს ვაწყდები, თუმცა მოსწავლე ყველაზე კარგი შემფასებელია და გრძნობს ყოველივეს.

ჩემი მოსწავლეობის პერიოდში მარტო ხატვა ისწავლებოდა (თუმცა ვიტყვი, ხატვა უდიდესი ფენომენია და მარტივი სულაც არ არის). დღეს მუდამ სიახლეების წინაშე ვართ, იცვლება სწავლის სტილი, მიდგომები, ფორმები. ტექნოლოგიური რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო საინტერესოდ ვაჩვენოთ მოსწავლეებს საგანი.

ხელოვნების გაკვეთილები მრავლისმომცველია, თითქმის ყველა სფეროს ვეხებით; სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ცივილიზაციის ისტორიებს, საინტერესოდ განიხილება ეპოქათა თავისებურებები, ცნობილ ხელოვანთა შემოქმედება.

ვაწყობთ სეზონურ გამოფენებს, მოსწავლეების აქტიური ჩართულობით, ვმონაწილეობთ პროექტებში, საერთაშორისო თუ საერთო ხატვის კონკურსებში, სადაც უამრავი საპატიო ადგილი და ჯილდო მიგვიღია.

მოსწავლე, რომელიც დღემდე გეამაყებათ?

–დღევანდელი თაობა საკმაოდ კრეატიულია. ჩემთვის მთავარია, მოსწავლე ჩართული იყოს შემოქმედებით პროცესში, შედეგებზე ყოველთვის დადებითად ვსაუბრობ. უდიდეს დროს და ყურადღებას ვუთმობ საინტერესო თეორიულ მასალას, რომელიც უყალიბებს მოსწავლეს საერთო მსოფლმხედველობას, ესთეტიკურ გემოვნებას, აძლევს შესაძლებლობას განიხილოს თუ სად დგას მისი ქვეყნის კულტურა, სხვა ერებს შორის...

ყოველ მოსწავლეში დევს რაღაც საინტერესო, მთავარია, სწორად მივუხვდეთ. ვცდილობ მოსწავლისთვის მოტივატორი ვიყო და არ დავდგე ბევრად მასზე მაღლა.

თითოეული მოსწავლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. მთავარია, ამას პასუხისმგებლობით აკეთებდეს. გამოვარჩევდი ჩემს აბიტურიენტებს,

7

საინტერესო ახალგაზრდებს (ყველას ვერ ჩამოვთვლი, იმედია, არ მიწყენენ)–**გიორგი ჩაბალუხას და ლალო გადელიას.** უნიჭიერეს ხელოვანებს, ბევრი მიღწევები აქვთ, მიხარია, მათ წარმატებებში მცირეოდენი წვლილი მეც რომ მიმიძღვის.

გარდა ხელოვნებისა, რა არის თქვენი ჰობი?

–ხელოვნების მეორე სფერო–მუსიკა, ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია (მოყვარულის დონეზე ვუკრავ სხვადასხვა საკრავზე, სულს უხარია და ვმღერი, (ალბათ, პროფესიონალადაც ჩამოვყალიბდებოდი, რომ გამეღრმავებინა) სულს უხარია ჩვენი ქართული სიმღერის პოლიფონიურობა. ასევე მიყვარს ჯანსაღი, გულღია ურთიერთობები, რომელიც სულს კვებავს და ამის გარეშე არ შემიძლია.

მალე საქართველოსთვის მძიმე–სოხუმის დაცემის დღე დგება, გენატრებათ სოხუმი?

–მენატრება ჩემი აფხაზეთი, მიუხედავად პატარა ასაკისა, ყველაფერი მახსოვს, მახსოვს მეზობლები, ჩემი სკოლისკენ მიმავალი გზა, მონასტრამდე ხშირად მომსვლელი ტურისტები, მამის ხელგაშლილი სტუმარ-მასპინძლობა, საბავშვო სამუსიკო სტუდია „ევრიკაში“ ჩემი პირველი ნაბიჯები...

უცებ, ყველაფერი შეწყდა, ერთი „ყვითლი ჩემოდნით“ გადმოვედით და მასზედ ჩემმა მშობლებმა ააწყვეს, დააშენეს ცხოვრება და აღგვზარდეს ღირსეულად. განსაკუთრებით მენატრება და გულს მწვავს ის, რომ მამას ძალიან ენატრებოდა იქაურობა და ვერ მოესწრო აფხაზეთის დაბრუნებას.

ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში?

–ცხოვრებისეული რუტინა, თითქოსდა ერთფეროვანი გეჩვენება. ვცდილობ დღეები გავილამაზო, თითოეული დღისთვის უფალს მადლობას ვწირავ. ბევრი ლამაზი მოგონება და დღეები მქონია, თუმცა გამოვარჩევ იმ წუთებს, იმ საათებს და დღეებს, როდესაც მე და ჩემი მეუღლის ცხოვრებაში ახალი სიცოცხლე, ფერია ელისაბედი გამოჩნდა (11 წლის ნატვრის შემდეგ), რომელიც ახლა ხუთი წლისაა და ჩვენც მისი თვალებით ვუყურებთ სამყაროს...

მასწავლებელს სიმკაცრე უხდება, თქვენ როგორი ხართ?

–სიმკაცრე კარგია, დისციპლინა ორგანიზებულობას შობს, რაც აუცილებელია საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. ჩემი პროფესია ჯანსაღ ხმაურთან ასოცირდება, ვცდილობ, სტაბილურობა შევინარჩუნო, თუმცა ძალიან მკაცრი ვერ ვარ. შიგნიდან არ გამომდის, ვცდილობ ვიყო მეგობრული, ვგრძნობ მოსწავლეები „პოზიტიურ მასწავლებლად“ აღმიქვამენ. თუმც მომთხოვნი ვარ.

როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი?

–მომავლის წარმოდგენა ძნელია, თუმცა იმედით შევყურებ. მთავარია მშვიდობიან სამყაროში მოუწოთ ახალგაზრდებს ასპარეზობა, სადაც შეძლებენ საკუთარი ინტერესებისა და ინოვაციების გენერირებას.

კიდევ რამე ხომ არ გინდოდათ გეთქვათ?

–ხელოვნება–ეს დიდი მცნებაა. (არ მოვიყვან ცნობილ ციტატებს).

ხელოვანი კიდევ თავისი ფაქიზი, თავისებური თუ გულზვიადი ბუნებით განსხვავდება, ის სამყაროს სხვაგვარად აღიქვამს და გადმოსცემს თავისი უნიკალური შესაძლებლობებით. უბრალოდ, შემოქმედებითი წვისთვის დრო და გარემოებაა საჭირო, რათა საკუთარი „მე“ იპოვო, რაც ჩემში არის მიყვარს და ჩემი მიზანია სხვასაც დავანახო ამ საგნის, ამ სამყაროს სილამაზე. მეც დღითიდღე ვსწავლობ, არ ვფიქრობ, რომ სრულყოფილი ვარ. მიყვარს გულწრფელი ურთიერთობები, რომელიც სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის.

ჩვენს მუნიციპალიტეტში უამრავი საინტერსო და ღვაწლმოსილი პედაგოგია, სადაც მე ვასწავლი (სსიპ ქ.ხობის №2, ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლა), მათგან ბევრ რამეს ვსწავლობ.

დიდი სიყვარულით გავიხსენებ „არეას“ სკოლის უთბილეს კოლექტივს.

ახალი სასწავლო წელი იწყება, რომელსაც ახალი იმედებით შევყურებთ. ვუსურვებ ყველას წარმატებულ, საინტერესო, მშვიდობიან სასწავლო წელს!

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

20 წლის სევდა
(ეკა მარშანიას ხსოვნა)

ყველას გვაქვს ჭრილობა, რომელიც არასდროს ხორცდება, მუდმივად ღიაა. ჭრილობა, რომელზეც მოგონებები, ხან მარილად გვეყრება, ხანაც მალამოდ დაგვედება ხოლმე. ცხოვრება მიეჩვია ჩვენთვის საყვარელი ადამიანების წართმევას და მისივე დაუნდობლობის გამოა, რომ სიზმარშიც კი, მათ წამიერად ნახვას, იმ ტკივილის კომპენსაციად გვითვლის, რაც თავის დროზე მოგვაყენა.

ჩვენ კი, უდედოდ დარჩენილები, რაც დრო გადის, მეტად ვგრძნობთ სიყვარულის, მზრუნველობისა და თანადგომის დეფიციტს... თუ, ღმერთი ინებებს და სიბერემდე მივალთ, ეს განცდა, კიდევ უფრო გაიზრდება, ტვირთად იქცევა და მეტად გაგვიჭირდება ზიდვა.

ვიღაც ადგება და იტყვის: „დრო ყველაფრის მკურნალიაო!“ ყოველთვის სინანულითა და სიმწრით მეღიმება ამ გამონათქვამზე, რომელიც ასე, მონდომებით დაუზუთხავს ხალხს. განა, რამეს შეუძლია განკურნოს ტკივილი, რომელსაც 8 და 11 წლის ბავშვები იგრძნობენ?! ტკივილი, რომლის სიმძიმის გაცნობიერებაც, სწორედ, დროს მოაქვს! სწორედ, დრო ახერხებს იმდენს, რომ ობლობის ტკივილს შეგიზრდის სულთან და ამიტომაც, ყველა ემოციას, ყველა ღიმილს ეტყობა სევდა. თითქოს, ფარული, მაგრამ თვალებში თავმდაბლად მცხოვრები, უკვე 20 წლის სევდა!..

სწორედ, ამდენივე წელიწადია ჩვენს ქალაქში „ეკას შვილებად“ გვიცნობენ და ჩვენც, შენი სახელის ღირსეულად ტარებას ვცდილობთ. სწორედ, ამდენივე წელიწადია ვერ ამოვხსენი, როგორ მოახერხე 30 წლის განმავლობაში ამ ადამიანებისთვის, ასე, შეგეყვარებინა თავი, რომ დღემდე ღირსების, სიკეთისა და სიყვარულის ეტალონად გიხსენებენ.

მე და სალომე ვამაყობთ, რომ ჩვენ, ეკა მარშანიას შვილები ვართ! ქალის, რომელიც მარადისობამ ვერ დაუთმო მიწიერებას და შვილების მფარველ ანგელოზად აქცია!..

20 წელია, შენს სიყვარულს ვუვლით
და ვიცავთ,
შენს ლამაზ ღიმილს, ჩვენს სიზმრებში,
დღემდე ვმათხოვრობთ.
20 წელია, ვუფრთხილდებით, დედაზე
ფიცსაც,
და მონატრებას, როგორ გინდა რამე
ვადროვოთ?!
20 წელია, შენს საფლავზე დავდივართ
ობლად,
გუგულებივით ჩამოვსხდებით, ისევ,
ხის სკამზე–
20 წელია, ველარავინ გაგვიხდა მშობლად,
შენ, ანგელოზად მოგავლინა ღმერთმა
მიწაზე.
20 წელია, ხელუხლებლად, გვიმზერ
კედლიდან,
მჯიღს, ისევ, ვიკრავთ სიმწრისაგან
გულის ფიცარზე–
20 წელია, გამოსავალს ვეძებთ სევდიდან
და ფეხაკრეფით გვეპარება სულის
სიგამხდრე.
20 წელია, ყველა ღიმილს აკლიხარ
შენ და
გულგადახსნილნი, იმედების
ფიქრში ვიძინებთ–
20 წელია, გვენატრება ორივეს დედა,
და ერთმანეთის სიყვარულით გულებს
ვიმშვიდებთ.
13 არის დღეს ოქტომბრის, და 20 წელი,
რა დაუნდობლად გაფრენილან, რამდენი
სევდით,
დრო ვის ადარდებს, შენს ნაბიჯებს,
ეჰ, დღემდე ველით,
რომ ჩვენში ცხოვრობს მონატრება
უტკბილეს დედის.
არც ერთი წამით არ გამქრალხარ, გულს
ვითბობთ შენთან,
ოჰ, რეალობის სისასტიკე გვანგრევს, ხან
გვკემსავს,
რა დაგვავიწყებს, ბავშვობიდან თანმდევარ
სევდას,
დრო, მოგონებებს, მტვრიან სკივრში,
კეცავს და კეცავს..!

მზეკო ჟვანია

პაატა თათარიშვილის სახელობის ხობის ცენტრალურ სტადიონზე, ხობის „კოლხეთი-2“-ის ყოფილი ფეხბურთელის, ტრაგიკულად დაღუპული ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები გაიმართა.

პირველობის გამარჯვებული და ნუგზარ ლემონჯავას სახელობის თასის მფლობელი ფოთის „კოლხეთი“ გახდა. მეორე ადგილი ხობის „კოლხეთის“ ნორჩმა ფეხბურთელებმა დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილზე მარტვილის საფეხბურთო სკოლა გავიდა.

საფეხბურთო ტურნირში ხობის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, ხონის და ქუთაისის საფეხბურთო სკოლების 2013-2014 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ.

ფინალურ მატჩს და დაჯილდოების ცერემონიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე, ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

მემორიალური ტურნირი ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა, სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციისა და ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ ხობის კოლხეთის“ ორგანიზებით ჩატარდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ქალაქ ხობში „ახალგაზრდული დღეების“ ფარგლებში კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გასართობი ღონისძიებები გაიმართა.

ხობის კულტურის სასახლეში ადმინისტრაციული ერთეულების ახალგაზრდული გუნდების მონაწილეობით, ინტელექტუალური თამაში ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი ჭალადიდის „არგომ“ დაიკავა, მეორე ადგილი ქარიატის „ქარიენტის“ ერგო, ხოლო მესამე ადგილზე ახალი ხიბულის „ინტელექტი“ გავიდა. ახალგაზრდული გუნდების წევრებს სიგელები და წიგნები გადაეცათ.

ხობის ცენტრალურ პარკში სპორტული შეჯიბრებები გაიმართა ქუჩის კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ღონისძიებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

„ახალგაზრდული დღეების“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ცენტრალურ პარკში დიჯეი „ალექსის“ კონცერტით დასრულდა.

„ახალგაზრდული დღეები“ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და მერის სათათბირო ორგანოს–ახალგაზრდული საბჭოს ორგანიზებით გაიმართა.

გილოცავთ

ახალი სასწავლო წლისთვის ემზადებიან რეზი და მარიამი, გილოცავთ შვილებო, თქვენთან ერთად ვულოცავ თქვენს მეგობრებს, თანატოლებს და იმ პატარებს, რომლებიც პირველად შეაბიჯებენ ბაღის იმ ზღაპრულ სამყაროში, სადაც გეძლევათ შესაძლებლობა გაეცნოთ ჩვენი სამყაროს საოცრებებს, სადაც პირველად შეიმეცნებთ თქვენს პირად შესაძლებლობებს, სწავლობთ მეგობრობას და ერთმანეთის პატივისცემას.

მინდა განსაკუთრებულად მივულოცო ხობის №1 საბავშვო ბაღის კოლექტივის სრულ შემადგენლობას, მშობლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დარწმუნებული იყოს იმ ხელების საიმედოობაში, ვისაც მშვიდად და თავდაჯერებულად ვანდობთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს–შვილებს.

გილოცავთ თითოეულ თქვენგანს და მადლობას გიხდით, ყოველ დილით თბილი და კეთილი სიტყვებისთვის, რჩევებისთვის და მაღალი პროფესიონალიზმისთვის.

გისურვებთ წარმატებულ წელს, თქვენი შრომა და ძალისხმევა ყოფილიყოს ნაყოფიერი ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ლელა შამათავა.

განცხადებები

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სამუსიკო სკოლა

ა ც ხ ა დ ე ბ ს

მოსწავლეთა მიღებას 2023-24 სასწავლო წლისთვის.

სწავლის ხანგრძლივობა 7 კლასი.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

განცხადება;

დაბადების მოწმობის ასლი;

ცნობა საჯარო სკოლიდან;

ფოტო სურათი 2 ცალი (3X4).

სამუსიკო სკოლის დირექცია.

ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში მოსწავლეთა რეგისტრაცია დაიწყო.

რეგისტრაციისთვის საჭიროა:

მოსწავლის ერთი ფოტოსურათი 3/4;

მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი;

მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

საწავლო პროცესს გააახლებენ შემდეგი წრეები:

ისტორია-მხარეთმცოდნეობა.

მხატვრული კითხვა.

მათემატიკა.

ხატვა.

ქართული ხალხური საკრავები.

ქართული ხალხური ცეკვები.

ცენტრში სასწავლო პროცესს განაახლებს ლოგოპედი.

სწავლა განახლდება ოქტომბრიდან.

ჩვენი მისამართია ზვიად გამსახურდიას ქ.№12.

ტელეფონი: 414-22-23-94; 577-62-08-72

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შპს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.